№ 51
სამშაბათი, 5 მარტი 1896

1877—1896

# ივერია

№ 51
სამშაბათი 5 მარტი 1896

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

**კნეინა ანნა ივანეს ასული ბარათაშვილისა შვილებითურთ** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა **თავადის პორფირე იოსების ძის ბარათაშვილისა**. პანაშვიდები გარდახდილ იქნებიან სამშაბათს და ოთხშაბათს შუადღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე. დასაფლავების დღე შემდეგ იქნება გამოცხადებული.

(2—6.—1).

გამართული იქნება

**კონცერტი**

ქართული დრამატიული საზოგადოების სასარგებლოდ.

მონაწილეობას მიიღებენ: კნეინა კ. ფ. გურამიშვილისა, ნ. ვ. დოლგოვი, ი. გ. კარგარეთელი, ი. ფ. სარაჯიშვილი, ხორო და სიმფონიური ორკესტრი ნ. ს. კლენოვსკის ლოტბარობით.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.
ადგილების ფასი საოპეროა.
ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა.

(3—3)

ტფილისის სახაზინო თეატრი
ოთხშაბათს, 6 მარტს,
ქართული დრამატიული არტისტების ამხანაგობისაგან
წარმოდგენილი იქმნება
ეფ. მესხისა ბ-ნი ვ. აბაშიძის და კ. მესხის მონაწილეობით

I

**მარგარიტა გოტიე**

ხუთ მოქმედებიანი დრამა ალ. დიუმასი

II

**არც აქეთ არც იქით**

ვოდ. 1 მოქ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, არლანისა, და სხვ. ბ-ნი ვ. აბაშიძე, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკიდა სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

გამგენი { ვ. აბაშიძე. კ. მესხი.
ადმინისტ. ვ. გუნია.

**ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა**

პატივის-ცემით აცხადებს, რომ ამა მარტის ოც-და ათს საღამოს შვიდ საათზედ, დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

ამა კრების გასარჩევად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციებზედ წარსულის 1895 წლის განმავლობაში და დამტკიცება მონაგების განაწილებისა.

2) დანიშვნა რიგისა და ზომის იმ განსამრჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მმართველობაში თანამდებობის პირთა.

3) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1896 წლისათვის.

და 4) არჩევა წესდების თანახმად გამომავალთა მაგიერის: ორი რჩევის დეპუტატის, გამგეობის დირექტორისა და აგრეთვე სარევიზიო კომმისიის წევრებისა და ამ უკანასკნელთა კანდიდატებისა და სხვა თანამდებობის პირისა, თუ რომ ეს საჭირო აღმოჩნდა.

5) განხილვა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა ნორმალური წესდების პროექტისა.

6) პრინციპიალურად [illegible] კითხვის გადაწყვეტა. რომ საზოგადოება თანახმა არის მიიღოს მონაწილეობა როგორც წევრი ცენტრალურ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში იმ პირობებით, რომელთ პროექტი შეადგინა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა წარმომადგენლების პირველმა კრებამ და იმ ცვლილებებით, რომელთაც შეიმუშავებენ კომმისია-ბიურო და მომავალს მეორე კრებაზე საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

ფინანსთა მინისტრისაგან შეცვლილის წესდების § 35 ძალით, თითოეულს საზოგადოების წევრთაგანს შეუძლიან იქონიოს მხოლოდ ორი ხმა, ერთი თავისი და მეორე ვექილობის ძალით.

ხმის უფლება გადაეცემათ: მამას, შვილს, დედას, ქმარს, ცოლს, ძმას და სიძეს საზოგადოების გამგეობის სახელზედ შემოტანილის უბრალოდ წერილის ძალით და სხვა პირებს-კი კანონიერის ვექილობით.

ხმის უფლება შეიძლება გადასცენ მხოლოდ იმ პირებს, ვისიც საწევრო ფული ას მანეთზედ ნაკლები არ არის.

როგორც წერილები, ისე ვექილობები უნდა მიუვიდეს საზოგადოების გამგეობას კრებამდის სამი დღის წინ მაინც.

## მთავრობის განკარგულებანი.

უმაღლესის ბრძანებით 24 თებერვალს სამხედრო უწყებაში კარგის სამსახურისათვის პოდპოლკოვნიკს სარაჯიშვილს მიეცა პოლკოვნიკობა; პორუჩიკობიდამ შტაბს-კაპიტანად აღყვანილ იქმნა კვინიხიძე.

წმ. ანნა 2-ის ხარისხისა მიიღეს: ქართველთა პოლკის, პოდპოლკოვნიკმა ივანე ტერიშვილმა და კაპიტანმა ვასილ ჩარექაშვილმა.

წმ. ანნა მე-3-ე ხარისხისა მიიღეს: გრენის პოლკის კაპიტანმა, თავადმა მიხეილ ვაჩნაძემ, გიგო აბულაძემ, დიმიტრი მგალობლიშვილმა, კირილე ქუთათელაძემ; დრაგუნთა პოლკების შტაბს-როტმისტრებმა: ელისავეტგრატის პოლკისა—თავადმა ალექსანდრე ერისთავმა და დარუბანდის პოლკის პორუჩიკმა თავადმა ოტია მიქელაძემ.

წმ. სტანისლავა 2-ის ხარისხისა:—კაპიტანმა ალექსანდრე ბარათაშვილმა, ივანე წინამძღვარიშვილმა და ალმასხან ქორქაშვილმა.

წმ. სტანისლავა 3-ე ხარისხისა მიიღეს: შტაბს-კაპიტანმა გიორგი არჯევანიძემ, შტაბს-როტმისტრმა დრაგუნთა პოლკისამ მიხეილ ღლონტმა, პორუჩიკმა იასე ვაჩნაძემ და მიხეილ ქავთარაძემ.

## ღირსეული სახსოვარი.

კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო მადლით ცხებული,
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ,
მით მხარე დამშვენებული.

ვ. ორბელიანი.

მთელი ჩვენი ქვეყანა, როგორც დასავლეთის საქართველო, ისე აღმოსავლეთისა, როგორც ქართლ-კახეთი, ისე იმერეთ-გურია-სამეგრელო უღრმესი მწუხარებით ჰგლოვობს თავისს სამაგალითო და სასიქადულო მთავარმწყემსს—განსვენებულს გაბრიელ ეპისკოპოსს და გამსჭვალულია, შეპყრობილია ამ ჟამად ერთი ზრუნვით, ერთი აზრით: რა ღონე მოვსძებნოთ იმისთანა, რომ იგი იყოს ყოვლად-ღირსეული, ყოვლად შესაბამი, უნაყოფიერესი და საუკუნოდ უკვდავ ჰყოს განსვენებულის უმწიკვლო, ბრწყინვალე სახელი შავი ზღვის პირიდგან დაწყებული დაღესტნამდე ყოველს ქართველს წოდებაში: გლეხობაში, სამღვდელოებაში, თავად-აზნაურობაში, მოხელეობაში, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის, ერთი სიტყვით მთელს საქართველოს ერში?

ამისთანა ღონისძიების მისაგნებად, ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, თუ რომელი ღირსება იყო განსვენებულისა მთავარი და სათავე მრავალის მისი ღირსებისა?

როცა მესამოცე წლების დამდეგში დაიბეჭდა განსვენებულის თხზულება რუსულად: „Основанія опытной психологіи", და ამ თხზულებამ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება მთელის განათლებულის რუსეთისა, ამ სტრიქონების დამწერს, რომელიც

# ფელეტონი

## ცილისწამებითი მიდრეკილება.

„და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთა ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა გამო თუმცა იბა ქედსა მისსა წისქვილის ქვაჲ ვირით საფქველი და შთავარდა ზღვასა".

(მარკ. 9. 42.)

ერთმა ახალგაზდამ სთქვა: „ჩვენს საზოგადოებაში ცილის-წამებითი მიდრეკილებას ღრმად აქვს გადგმული ფესვებიო". თუ ერთ ფრაზას შეეძლოს კაცს სახელი მოუხვეჭოს, მაშინ სწორედ ეს ახალგაზდა გაითქვამდა სახელს, როგორც ჩვენი ცხოვრების დამკვირვებელი და მცოდნე პირი. სწორედ გითხრათ, უკეთესად დასურათება ჩვენის საზოგადოების ეხლანდელი მდგომარეობისა შეუძლებელია. მართალია ასეთს გამათახსირებელს ჩვეულებას საზოგადოებისას თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ დღეს დღეობით მხოლოდ ის უნდა აღვიაროთ, რომ საზოგადოებას ცილის წამების საღერღელი აშლია და ყოველს მოქმედებას თავისი წევრისას ცილის წამების თვალითა და გონებით უყურებს. გააკეთებთ რაიმე კარგს საქმეს, ისეთს ბინძურ სარჩულს გამოუძებნიან თქვენს მოქმედებას, რომ თავსა და ბედს დაგაწყევლინებენ; შესცდები და „ფეხს წამოჰკრავ რასმე, დაეცემი", აქ ხომ, რაღა-კი ცოტა უფრო მტკიცე საფუძველი ეძლევათ, ისეთს ცილს დაგწამებენ, რომ გიკვირს, ნუ-თუ ადამიანის გონებას შეუძლია ასეთის რაიმეს წარმოდგენა? საღი სჯა და კრიტიკა სხვისი მოქმედებისა და აზროვნებისა აღარ შეიძლება იქ, სადაც ცილის წამება არის დაბუდებული. ყოველივე მოვლენა უკუღმართად გადასხვაფერებულია, ათასნაირად დასახიჩრებული და ამნაირად ნამდვილს მოვლენაზედ-კი აღარა სჯიან, სჯიან გამოგონილს და ცილის წამებით შეზავებულს ფაქტზე. ამგვარს ცრუ მსჯელობას შეცდომაში შეჰყავს უმეტესი ნაწილი სამშობლოს გულწრფელ მოღვაწეთა, რადგან არ შეიძლება კაცმა, მით უმეტეს, გონება და ზნეობა მრთელმა ყოველივეს ეჭვის თვალით უყუროს. რწმუნება მარტო სარწმუნოებაში-კი არა, მეცნიერებაშიაც არის საჭირო. ხელ-ახლად რომ გამოიკვლიო ყოველივე აზრი მეცნიერებისა, ხელ-ახლად რომ გასინჯო ის ფაქტები, რომელზედაც იგი აზრია აღებული, თითო აზრის შესწავლას მოუნდება მთელი სიცოცხლე კაცისა. ჩვენ გვრწამს ამა თუ იმ მეცნიერის ნათქვამი და ისიც გვრწამს, რომ თუ მოვინდომებთ, ამ ნათქვამს ფაქტიკურად დავიმტკიცებთ.

თუ ასეა მეცნიერებაში, რაღა გასაკვირველია, რომ ცხოვრებაში უფრო მეტი ადგილი ჰქონდეს რწმუნებას. ყოველ კაცს სწამს თავისი თანამოაზრის, მეგობრის, პატივცემული პირის სიტყვა და უამისოდ ცხოვრებაც გასაჭირი იქნებოდა. ამიტომაც კაცი, ის კაცი მაინც, რომელსაც საზოგადოების წინაშე ავტორიტეტი აქვს, უნდა დიდის გაფრთხილებით და დაკვირვებით მოეკიდოს თავისს სიტყვას. განზრახ ისეთს არას იტყოდეს, რაც მის მოწაფეთ შეიყვანს შეცდომაში. თავისი მტრის დამარცხება რომ უნდოდეს კაცს, მოყვარეს რაღას ერჩის? მტერს უნდა სახელი გაუტეხოს, მოყვარეს რაღად აუშლის არა-ადამიანურს გრძნობებს და რად უნდა შეადგენიოს მას უცნაური, ცრუ აზრი ამა თუ იმ მოვლენაზედ?

ჩვენ-კი ყოველივე სიკეთეს მოკლებულნი ვართ და ეს რწმუნებაც უნდა განვაძევოთ. ყოველი ფაქტი ჩვენვე უნდა გამოვიკვლიოთ და თვითვე დავრწმუნდეთ მის სინამდვილეში. ასეა უთუოდ ყველგან, სადაც ცილის-წამების ეპოქაა. ეხლა სწორედ ეს დღე გვადგია და ჩვენც უმაღლესი სკეპტიციზმით აღჭურვილნი უნდა ვმოქმედებდეთ.

შესაძლებელია განა, დაერწმუნო იმ მხარეში და იმ დროში ვისმე, როცა საუკეთესო წარმომადგენელნი საზოგადოებისა, ღვთისგან ნიჭითა და გრძნობით დასაჩუქრებულნი, რომელთა მოვალეობაა საზოგადოების წრთვნა და სიმართლის გზაზედ დაყენება, როცა ამგვარი მამულიშვილები თავში უდგანან ამ გამათახსირებელს „ცილის-წამებით მიდრეკილებას" და ცილის-წამების შხამს ასხამენ ყოველივე მოვლენას, რომელიც მათ რაიმე მიზეზით არ მოსწონთ? რომ მეც არ დამწამოთ ცილის-წამება, ფაქტს მოვიყვან და ეს ფაქტი გახლავსთ „კვალის" წრევანდელ მე-9 №-ში დასტამბული წერილი. წერილს ჰქვიან „უკანასკნელი პასუხი" და ბოლოს აწერია, ჩვენდა სამწუხაროდ, სახელი თ. აკ. წერეთლისა.

ეს წერილი შემეხება მე და, მართალი გითხრათ, რომ დიდი პატივისცემა არა მქონდეს თ. აკ. წერეთლის ნიჭისა, ამგვარს წერილს პასუხის ღირსად არ გავხდიდი... მაგრამ ამას არ შევკადრებ თ. ა. წერეთელს. გარდა ამისა, ამ წერილით მშვენიერი შემთხვევა მეძლევა დავასაბუთო ზემოხსენებული ჩემი სიტყვები.

თ. აკ. წერეთელი თავისი წერილის დასაწყისში ბრძანებს:

„ძვირათ ვინმე გამოსულა ჩვენში ან სამწერლო და ან სხვა რომელსამე საზოგადო სარბიელზე, რომ პირველი ბიჯი ჩემკენ მუქარით არ გადმოედგას და ჩემი ლანძღვით არ დაეწყოს თვისი დებიუტი. იმ თავიდამ ამ ბოლომდე ეს ისე დაკანონდა, რომ თითქოს უამისოთ ნება არა ჰქონდეს ახალგაზდას პირველი ნაბიჯის გადადგმისა!.. ვისაც არა სჯერა, გადაათვალიეროს ჩვენი მწერლობა ამ ოც-და-თუთხმეტი წლის განმავლობაში, და თუ ვსტყუოდე, ცუდი კაცი დამიძახოს... ამასაც ნუ მაკმარებს... აგრეთვე თუ სადმე შეხვდეს, რომ მე პირველი შევხებოდე ვისმე პირადობას და მხოლოდ ცილის წამების თავიდან ასაცდენად მარტო პასუხი არ მეწეროს,—მოუსვენარი მიწოდოს და დამგმოს. აი, ახლაც სრულიად კანონიერი მეჩვენა „ივერიის" ახალგაზდა კრიტიკოსის ჩემსკენ გამოლაშქრება".

იმ დროს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, იქაურმა პროფესორებმა სთხოვეს ეამბნა მათთვის ყველაფერი, რაც-კი იცოდა არქიმანდრიტს ქიქოძეზედ. როცა მოისმინეს ჩემი ვრცელი მოთხრობა ავტორის ცხოვრებისა და მოქმედებაზედ, პროფესორებმა აი რა აზრი გამოსთქვეს: როგორც ყველაფრიდგან სჩანს, არქიმანდრიტი ქიქოძე ერთსა და იმავე დროს შემკულია ღრმა სარწმუნოებით და საფუძვლიანი, მრავალ-მხროვანი აწინდელი განათლებით, და ეს ღირსება-კი ყველგან ძლიერ იშვიათია და ბევრისათვის შეადგენს იდეალს, მიუწდომელს საგანს ნატვრისასო.

ესევე მთავარი ღირსება თავისი სათაყვანებელი მთავარ-მწყემსისა იმერთა ხალხმა მდაბიოდ აღნიშნა ორი სიტყვით: „მეცნიერი არქიერიო".

დიაღ, განსვენებულის სპეტაკს გულში ღვიოდა, ენთო ძლიერი შეურყეველი სარწმუნოება და გონებაში—საფუძვლიანი და მრავალ-მხროვანი განათლება, მეცნიერება, და ორნივე—სარწმუნოება და მეცნიერება—ჰარმონიულად იყვნენ შეთვისებულნი, შეზრდილნი, შეთანხმებულნი და შეადგენდნენ ერთს რთულს სასულიერო ძალას, ბრწყინვალე ინტელიგენტსა.

ამ მთავარი თავისი ღირსებით, როგორც სხვა ბევრი თვისებით და ხასიათით, ჩვენი „მეცნიერი არქიერი" აგონებდა ყველა შეგნებულს ქართველს პირველის საუკუნოების დიდებულს მამებს მსოფლიო ეკკლესიისას, რომელნიც იყვნენ არა მარტო ღრმა ღვთის-მეტყველნი, არამედ ზედ-მიწევნით ჰქონდათ შესწავლილი მთელი მეცნიერება საბერძნეთისა და რომისა. აკი ამიტომაც იყვნენ ეს წმიდანი მამანი ნამდვილნი მნათობნი ეკკლესიისა, სამშობლოსი, კაცობრიობისა.

სარწმუნოება, მოკლებული განათლებას, ხშირად იქცევა ვიწრო ფანატიკოსებად, ან აღმერთებს გარეგანს, დროებითს თავისს ფორმებს, წესებს ეკკლესიისას და ივიწყებს შინაგანს მხარეს, ცხოველ-მყოფელს ზნეობრივს პრინციპებს, დედა-აზრებს სახარებისას. მეორე მხრივ, მეცნიერება, მოკლებული ჭეშმარიტს სარწმუნოებას, როდის უშლის თავისს მექონს, მესაკუთრეს, იყოს იგი იმდენადვე დიდი არამზადა, რამდენადაც იგი დიდი მეცნიერია. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს დიდი მეცნიერი და ფილოსოფოსი ბეკონი, რომელიც, ისტორიკოსების სიტყვით, იყო მექრთამე, ვერაგი მეგობარი, გამცემი, საშინელი ეგოისტი...

სამაგიეროდ, უგენიოსესი ნიუტონი, უდიდესი მეცნიერი და ამასთან ჭეშმარიტი მორწმუნე, იყო იმისთანა მაღალი ზნის პატრონი, რომ თვით უკიდურესს მტრობასაც-კი არ შეეძლო მიეყენებინა ჩრდილი მისი ბრწყინვალე ცხოვრებისათვის. ამავე ღირსებით ბრწყინავდა ჩვენს დროში ფრანცუზი პასტერი, პირველი მეცნიერი საფრანგეთისა და ამასთან მორწმუნე ქრისტიანე.

ეს მაგალითები და მრავალნი სხვანი გვაჯერებენ, რომ სარწმუნოებისა და მეცნიერების მოთავსება ჰარმონიულად შესაძლებელია არა მარტო სასულიერო პირთათვის, არამედ ერის კაცთათვისაცა.

განსვენებულის მთავარ-მწყემსისათვის რომ ვისმე ეკითხნა სიცოცხლის დროს: რა უფრო ყველაზედ საჭიროა საქართველოს აყვავებისა და ბედნიერებისათვის, იგი მიუცილებლად უპასუხებდა: დანერგვა ყველა ქართველში ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ნამდვილი განათლებისა.

ხოლო ვიკითხოთ ახლა: რა ღონისძიებით უფრო შესაძლოა ეს დანერგვა, რომელიც ყველა ქართველს გახდის მეტ-ნაკლებობით მონაწილედ იმ მთავარის ღირსებისა, რომელიც ამშვენებდა მნათობს საქართველოს ეკკლესიისასა?

დაასახელეს სტიპენდიების დაარსება, სკოლის გახსნა განსვენებულის სახელობაზედ. ერთიც კარგი ღონისძიება გახლავთ და მეორეცა. და ვინც თავისს წვლილს არ დაიშურებს ამ საქმისათვის, დიდი მადლობის ღირსი იქნება, მაგრამ მარტო ესენი საკმარისნი არ არიან. მოგეხსენებათ, რომ უდაბნოს მცირეოდენი წამოწვიმა და ისიც პატარა ადგილზედ ვერ ამწვანებს, ვერ ააყვავებს. უდაბნო შეიძლება გაცოცხლდეს და განაყოფიერდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მასზედ ზეცა კიდით-კიდე დაასხამს მსხვილსა და უხაპუნა წვიმასა. აქაც ასეა. მხოლოდ იმისთანა ღონისძიება მიგვწევს წადილსა, რომელიც ხელმისაწდომი იქნება ყველა ქართველისათვის, შესძლებს ესტუმროს საკუთარს სახლში ყველა იმერსა და ამერსა და აალორძინოს ყველგან სარწმუნოება და ცოდნა.

რა ღონიძიებაა ამისთანა? ჩემი აზრით, ეს გახლავთ სასულიერო და საერო მწიგნობრობის აღორძინება ქართულს ენაზედა, განსვენებულის სახელით გამდიდრება ჩვენის ლიტერატურისა კლასიკური თხზულებებით, რომელთაგან ზოგნი განამტკიცებენ სარწმუნოებასა და ზოგნი მოჰფენენ მთელს ერში ცოდნასა განათლებასა...

ყველა [illegible]ებულმა ქართველმა იცის, [illegible] მდიდარი იყო წინა საუკუნოებში სასულიერო ლიტერატურა ჩვენში. მარტო მცხეთის ტაძრის ბიბლიოთეკა იპყრობდა, პლატონ იოსელიანის სიტყვით, შვიდი ათასს ტომსა, უმეტეს ნაწილად სასულიერო შინაარსისა. ახლა? ახლა-კი უბრალო კატეხიზმიც არ გვაბადია, თვით მაცხოვრის ცხოვრებასაც ვერ გაიცნობს ვრცლად ქართველი კაცი თავისს დედა-ენაზედა და მოკლე უჩებნიკებას ამარად ვართ დარჩენილი. ღვთის მეტყველება დოგმატიური და ზნეობრივი ხომ სანატრელადაც ძნელი გახდა ჩვენს ენაზედა. სასულიერო ყმაწვილობა, სემინარიებში მოქცეული, იძულებულია ყველა საგანი ისწავლოს უცხო ენაზედ და მოკლებულია შეძლებას თავისუფალს დროს მაინც იკითხოს ქართულს ენაზედ იგივე საგნები. საერო მწიგნობრობაც ძლიერ ღარიბი გვაქვს. წინა საუკუნოებში მეტაფიზიკიდგან დაწყებული ბუნების მეტყველებამდე ყველა მეცნიერება მოიპოვებოდა ჩვენს ენაზედა. ეხლა-კი მსოფლიო ისტორიას და საზოგადო გეოგრაფიასაც-კი დანატრულია ჩვენი ლიტერატურა, რის გამო საერო სასწავლებლების ქართველი მოწაფენი სრულიად მოკლებულნი არიან ღონისძიებას თავის ენაზედ იკითხონ სკოლას გარედ ისა, რასაც კლასში სწავლობენ მხოლოდ რუსულს ენაზედა. დიდები ხომ კიდევ უარესს მდგომარეობაში ვართ.

ამ სახით, მთავარნი წყარონი სარწმუნოებისა და ცოდნისა ჩვენში თითქმის დაშრალნი არიან, და თუ სდიან, ისიც მხოლოდ უცხო მილში, რომელიც ბევრისათვის მიუწდომელია, და რომელიც მიმწვდენსაც ვერ გაუწევს იმ სამსახურს, რომლის გაწევა შეუძლიან ეროვნულს მილსა. ამის შემდეგ რაღა უნდა გვიკვირდეს, თუ დიოგენის ფარნით უნდა ეძებო ჩვენში იმისთანანი, რომელნიც სარწმუნოებით და ცოდნით ცოტაოდნად მაინც ჰგავდნენ ჩვენს უძვირფასესს განსვენებულსა.

დიაღ, ჩვენის მეცნიერის არქიერის სამუდამო სახსოვრად საუკეთესო ძეგლი იქნება აღორძინება და გამდიდრება მისი სახელით ჩვენის ლიტერატურისა სასულიეროსი და საეროსი დარბაისლური, კლასიკური თხზულებებითა, რომელთაგან ზოგი გადმოითარგმნება და ზოგი დაიწერება ქართველ მსწავლულთაგან. ხოლო ეს იმდენად ძნელი და რთული საქმეა, რომ მას ვერ იკისრებს ვერც კერძო პირი და ვერც რომელიმე ახლანდელი საზოგადოებრივი დაწესებულება. აქ საჭიროა მონაწილეობა მთელის ქვეყნისა, დახმარება ყოველ შეგნებულის ქართველისა შეძლებისამებრ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შესდგეს ჯეროვანი თანხა. საძირკვლად ამ თანხას უნდა დაედოს ის ფული, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას გამოუგზავნიან განსვენებულის მემკვიდრეები იმ ქონებიდგან, რომელიც გადურჩება ანდერძის ასრულებასა. ისევე საზოგადოება იკისრებს, უეჭველია, ამ საქმის გაძღოლასა და შეკრებილი თანხით ბეჭდავს ღირსეულს თხზულებებს ქართულს ენაზედ ამ ზედ წარწერით: გამოცემული გაბრიელ ეპისკოპოსის თანხით წერა-კითხვის საზოგადოების მიერ.

იმერთ რომ იკისრონ სასტიპენდიო თანხის შედგენა და ამერთ სამწიგნობროსი—კარგი მონაწილეობა იქნება კეთილი და საშვილი შვილო საქმისა, ვგონებ.

ჩვენ იმ წერილში აღვნიშნეთ უმთავრესი ღირსება განსვენებულის მეცნიერის არქიერისა. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ხე არც ღეროთი, არც ფოთლებით, არც ტოტებით და არც ყვავილით არ იცნობება. ხის ღირსებას ყველაზედ უტყუვრად აჩენს მისი ნაყოფი. აი რისთვის ჩვენი წერილი დაუსრულებელი დარჩება, თუ არ აღვნიშნეთ ის მთავარი ნაყოფი, რომელიც მოიტანა ქვეყნისათვის განსვენებულის დაუღალავმა მოღვაწეობამ ოც-და-თხუთმეტის წლის განმავლობაში.

ამ ხნის განმავლობაში იმერთა ხალხის ცხოვრებაში მოხდა ერთი გასაოცარი მოვლენა, რომელმაც ყველას ყურადღება მიიპყრო. შედარება უფრო ნათელს მოჰფენს საგანსა და მას მივმართოთ. რუსეთის გლეხებს მთავრობამ ეგრედ წოდებული ნადელები თვითონ გამოუსყიდა მებატონეებისაგან და მაინც გლეხობამ ვერ შეირჩინა ეს ნადელები. ქართლ-კახეთში ათასში ერთმა ვერ გამოისყიდა აქამდის ნადელი და ჯერედ თითქმის დაუხსნელნი ყმები არიან ისევ. იმერთა ერმა-კი, ყოველი მხრივ შევიწროებულმა, რამდენიმე მილიონის მამული გამოისყიდა მებატონეთაგან და გახდა სრული მესაკუთრე უმეტეს ნაწილად, თუმცა მისთვის არც მთავრობას და არც სხვას ვისმე არავითარი შემწეობა არ აღმოუჩენია. ამ მოვლენას სთვლიან ბევრნი და მათ შორის ბარონ ნიკოლაი თავისს უკანასკნელს თხზულებაში უმაგალითოდ მთელს მსოფლიო ისტორიაში. ვინ მოახდინა ამ ერში ის ცვლილება, რომლის

---

ჩვენ ვეცდებით ყოველივე აქ თქმული ეხლავე ჩვენისავე მაგალითით დავარღვიოთ... მაგრამ იმდენზე ზრდილობიანობას და თავაზიანობას კიდევ ვიხმართ, რომ თ. აკაკი წერეთელს „ცუდს კაცს" არ დაუძახებთ. გადაათვალიერეთ მთელი ჩემი ნაწერები და თუ ნახავთ, რომ მე სადმე თ. აკაკი წერეთლის სახელი ცუდად მომეხსენებიოს და წინააღმდეგ დიდი ქება დიდება არ შემესხას მისთვის, მაშინ რაც გენებოთ ის მიბრძანეთ. პირველი ჩემი წერილი დაბეჭდილი გახლდათ 1894 წ. სექტემბერში „ივერიაში" (№ 193.) იქ თ. აკაკი წერეთელზედ აი რა მაქვს ნათქვამი: „თ. ილია ჭავჭავაძის პროზა და პოეზია, თ. აკაკი წერეთლის სალირიკო პოეზია და უკანასკნელად ა. ყაზბეგის პროზა მდიდარი არის, როგორც ფორმით, ისევე შინაარსით, აზრით." და შემდეგ: „აიღეთ რომელიც გინდათ პოემა თ. ჭავჭავაძისა: იგი აღტაცებაში მოიყვანს ორივე ბანაკის მწერლებს. გადაათვალიერეთ საუკეთესო სალირიკო ლექსები თ. წერეთლისა, იგი აღიტაცებს „პარნასელს" პოეტს და რუსთველ მწერალს, რომელიც აზრის მეტს არას დაეძებს არც ლექსში და არც პოეზიაში"... ე. ი. მე აქ იგივე აზრი მაქვს გატარებული რაც ზემოდ, რომ თ. აკაკი წერეთლის სალირიკო პოეზია მდიდარია შინაარსით და ფორმითაც.

დავწერე პირველი ჩემი წერილი „ცხოვრება და ხელოვნება" 95 წ. „ივერია"-ში (№ 150) და აი იქ რასა ვსწერ: «ჩვენის ლიტერატურის უმთავრესი მოძღვრების (ბარათაშვილისა, გ. ორბელიანისა, ი. ჭავჭავაძისა. აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის) ნაწარმოებნი... ასე ვსთქვათ, იდეალად მიგვაჩნია ჩვენს მწერლობაში და მიუცილებელი საჭიროა ჩვენთვის შესადარებლადა. დღევანდელ ლიტერატორთა ნაწარმოებთა ღირსება იმის მიხედვით უნდა ავსწონ-დავსწონოთ, თუ რამდენად უახლოვდებიან ამ იდეალსა და ან რა ბიჯი წარსდგეს წინ დროისა და გარემოების შესაფერად..." იქვე... «დღევანდელს ლირიკოსებზედ რაღა გვეთქმის, თუ არ ის, რომ თ. ა. წერეთლის ზოგიერთი ლექსების სიღრმე და მშვენიერება მათთვის მიუწდომელია". ეს კიდევ არ ვაკმარეთ, აი რას ვსწერდი თ. ა. წერეთელზედ 94 წ. „მოამბის." № XII ში: „არ ვიცი, ზოგიერთი ლექსი თ. აკაკი წერეთლისა, ამ საუკეთესო პოეტისა ჩვენს ცოცხალ ლირიკოსთა შორის, (მე სახეში მაქვს მისი პატარა ლექსები) რით ჩამოუვარდება, მეტი რომ არა ვსთქვათ, მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავს ლექსებს", და შემდეგ რამოდენიმე სტრიქონი, რომელიც თ. ა. წერეთლის ლექსებს ეხება, აღტაცებით სავსეა (გვ. 58 და სხვ.) მაშ, პირველი ტეზისი თ. აკ. წერეთლისა, რომ «ივერიის» ახალი კრიტიკოსიც იმ უმრავლესთა (მათი აზრით) რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც თავისი დებიუტი თ. აკაკი წერეთლის ლანძღვა-გინებით დაუწყია... გაცამტვერდა.

მე მარტო ჩემზედ ვამბობ და სხვას არ ვეხები, თორემ, თუ ნებავს თ. აკ. წერეთელს მოიძებნებიან მრავალნი, რომელთაც ისე დაუწყიათ თავისი მოღვაწეობა და ისე დაუმთავრებიათ იგი, რომ არა თუ „პირველი", არც უკანასკნელი ბიჯი «გადაუდგამს მათკენ მუქარით" და არც მათი „ლანძღვა-გინებით დაუწყიათ თავიანთი დებიუტი." მაგრამ თ. აკ. წერეთლის „უკანასკნელი პასუხი" საუკეთესო წარმომადგენელია „ცილის-წამებით" შეზავებულის წერილებისა. ამიტომაც წინდაწინვე მოუსაზრებია და მოუფიქრებია, რა უნდა ეპასუხნა, თუ ასეთს ფაქტებს დაუყენებდნენ წინ. თ. ა. წერეთლის ნაწერში მშვენიერი ფრაზაა, რომელიც წინდაწინვე სჭრის კაცს ენას: „მისი არ იყოს, ვინც თავისს პირადობაზედ მეტს ფიქრობს, ვიდრე საზოგადო საქმეზე, სადილობამდე ერთსა სწერს და ნასადილევს მეორეს, მისი-კი „რა მოგახსენოთ?" მეტად ცხადი ინსინუაცია არის და ყველასათვის გასაგები. რასაკვირველია, რაკი დავუმტკიცეთ თ. ა. წერეთელს, რომ ჩვენი წერილები სავსეა მათის ქებითა და დიდებით, იტყვის: „ეს ხომ სადილობამდის იყოო". იტყვის, ამის საფუძველს გვაძლევს ჩვენ მთელი წერილი თ. ა. წერეთლისა. მაგრამ ეხლავე მოვიყვანთ მთლად იმ სიტყვებს, რომელიც ჩვენს „ლიტერატურულ მიმოხილვაში" შეეხება თ. ა. წერეთელს და რომელიც «ნასადილევს» არის დაწერილი, ე. ი. რაც „ივერიის" რედაქციაში შევედი და მისი რედაქტორი სადილებს მიმართამს ხოლმე. ვნახოთ, შესაძლებელია თუ არა იმ სიტყვებიდამ ვინმემ, გარდა ცილისწამებით ავადმყოფისა, გამოიყვანოს ისეთი დასკვნა, რომელიც თ. აკაკი წერეთელმა გამოიყვანა.

| ჩვენი სიტყვები: | თ. ა. წერეთლის ცილის-წამებით სავსე, ლოგიკური კლიმანწურები: |
|---|---|
| „კვალის" სიტყვა კაზმული მწერლობა, ცოტა არ იყოს მოისუსტებს. მართალია იქ მონაწილეობას ღებულობს ერთ-ერთი დედა-ბოძი ჩვენის ლიტერატურისა, მაგრამ, როცა მისს ნაწარმოებზედ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მისი უწინდელი ნაწერები. სწორედ ამიტომაც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს წელიწადი თ. აკ. წერეთლის ნაწერებისათვის ნაკიანი იყო. რაიცა მისს მოთხრობას შეეხება, იგი ჯერ დამთავრებული არ არის, თუმცა ესეც შეიძლება ითქვას, რომ თ. აკ. წერეთლის სახელს ვერას შემატებს.) | «აკაკის ნაკიანი წელიწადი დაუდგაო», «მისი მოთხრობა სახელს ვერ შემატებსო» და სხვანი (რაღა იყო ეს სხვანი?) ესე იგი, უბოდიშოთ, რომ გვთქვათ: „ხელს, რომ აიღებდეს წერაზე კარგი იქნებაო". (ეს დასკვნა ეკუთვნის თ. ა. წერეთელს, ამიტომ კურსივით აღვნიშნეთ. |

აი სულ ის სიტყვები, რომელიც თ. აკაკი წერეთელზედ მქონდა ნათქვამი. რა ვსთქვი მერე აქა? თ. ა. წერეთელს დავუძახე დედა-ბოძი ჩვენის ლიტერატურისა; ვსთქვი: «როცა მისს ნაწარმოებზედ ვლაპარაკობთ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მისი უწინდელი ნაწერები" აქედამ თუ რაიმე დასკვნა შეიძლება გამოიყვანოს კაცმა იმის მეტი, რომ თუ ეხლანდელი მწერლების ნაწერებს შე-

მეოხებით მან შესძლო ასეთი საოცარი საქმე ჩაედინა? რა საკვირველია, იმან, რომელიც დაუღალავად უქადაგებდა სიტყვით და საქმით ხალხს მხნეობას, თავდაჭერილობას, მოთმინებას, წმინდა ზნეობას, მარტივს ცხოვრებას, სწავლის საჭიროებას და ყოველ ღონეს ხმარობდა თავისს სამწყსოში გაევრცელებინა სარწმუნოებაცა და ცოდნაცა. *)

რომ ჩვენ აქ არა ვსცდებით, ამას ის მოვლენაც ამტკიცებს, რომ იმერთი ინტელიგენცია—ქალნი, თუ კაცნი—რომელიც იყო სრულიად სხვა გავლენათა ქვეშ და არა თავისი მეცნიერის არქიერისა, აშკარად სხვა სურათს წარმოადგენს. რამდენადაც იმერთა ხალხია მხნე, საქმიანი და გამჭრიახი, იმდენად ინტელიგენცია უძლურია უმეტეს ნაწილად. ხალხი დაემზგავსა მეტ-ნაკლებობით თავისს მწყემსთ-მთავარს, რომლის გამუდმაბულის გავლენის ქვეშ იგი დიდს ხანს იმყოფებოდა, ინტელიგენცია-კი მოკლებულია მთავარ ღირსებას განსვენებულისას, რომელზედაც შორს იდგა.

არა მგონია, რომ რომელიმე მწყემსთ-მთავრის მოქმედებას არამც-თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ ევროპამაც მოუტანოს სამწყსოსათვის იმაზედ უუნაყოფიერესი შედეგი, რომელიც შესძლევნა იმერთა ერსა განსვენებულის მღვდელთ-მთავრის ოცდა-თხუთმეტის წლის თავდადებულმა მოღვაწეობამ.

კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო მადლით ცხებული.
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ,
მით მხარე დამშვენებული. *)

იაკობ გოგებაშვილი.

*) ამ წერილთან ერთად მოგვივიდა პატივცემულ ავტორისაგან ერთი თუმანი გაბრიელ ეპისკოპოსის სამწიგნობრო თანხისათვის.

რედ.

*) ამ მოვლენის მიზეზები ბევრი სხვაც არისო, ასე რომ ბ. გოგებაშვილის ახსნა ცალმხრივათ მიგვაჩნია.

რედ.

# ახალი ამბავი

—

*** მოვაგონებთ ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს, 5 მარტს, სახაზინო თეატრში დანიშნულია კონცერტი, რომლის შემოსავალი გარდაიდება ქართულ დრამატიულ საზოგადოების თანხის გაძლიერებისათვის. კონცერტი, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, მეტად ვრცელის და სასიამოვნო პროგრამის იქნება. კონცერტში მონაწილეობას იღებს: კნ. კ. ფ. გურამიშვილისა, რომლის შესანიშნავმა ხმამ და ხელოვნურმა სიმღერამ აღტაცებაში მოიყვანა ამას წინად ტფილისის საზოგადოება; აგრეთვე მონაწილეობას იღებენ: ბბ. დოლგოვი, კარგარეთელი, სარაჯიშვილი, ხორო და ორკესტრი ცნობილის კლენოვსკის მეთაურობით. იმედია საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ კონცერტს, მით უმეტეს, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას შემოსავალი დანიშნული აქვს არტისტების დახმარებისათვის.

*** კავკასიის მთავარ-მართებელს გრაფს შერემეტევსა და ტფილისის გუბერნატორს თავ. შარვაშიძეს 10 მარტს მოელიან ტფილისში.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გუშინ-წინდელს წლიურს კრებაზე ამორჩეულ იქმნენ: ვიცე პრეზიდენტად კენჭის უყრელად უგანათლებულესი თავადი პ. ა. გრუზინსკი, მდივნად ისევე კენჭის უყრელად ეგ. იოსელიანი; საბჭოს წევრად არჩეულ იქმნა გ. დ. კოლჩევსკი, რომელმაც მიიღო 30 თეთრი და 10 შავი კენჭი. არ იქმნა არჩეული ფ. ფ. კოვრაისკი, რომელმაც მიიღო 19 თეთრი და 21 შავი.

*** ჩვენ მოგვივიდა პეტერბურგიდამ ამბავი, რომ განსაკუთრებულ საბჭოში, რომელშიაც მიუღიათ მონაწილეობა მინისტრებს, მთლად მოუწონებიათ პროექტი ტფილისის გუბერნატორისა თ. შარვაშიძისა შესახებ ტფილისის გუბერნიის გლეხთა სამეურნეო კაპიტალისა. ტფილისის გუბერნიისათვის იგი პროექტი დამტკიცებულ იქმნება კანონ-მდებლობის წესითა და ამასთან ფინანსთა მინისტრს ბ-ნს ვიტტეს გამოუცხადებია განზრახვა, რომ იგი წესდება შეიტანოს მთელს რუსეთშიაცა.

*** პეტერბურგიდამვე გვწერენ, რომ სენატის რევიზიაზე კავკასიაში დაყრილ ხმას არავითარი საფუძველი არა აქვსო.

*** ქუთაისის ახალ თეატრში პირველი წარმოდგენების გამართვა ქუთაისის თეატრის გამგე კომისიამ მიანდო კ. მესხს, ვ. აბაშიძეს და ვ. გუნიას. პირველი ქართული წარმოდგენა ამ არტისტების გამგეობით გაიმართება აღდგომის მეორე ან მესამე დღეს. ამხანაგობას სურვილი აქვს ყველა საუკეთესო ჩვენი არტისტები მოიწვიოს ამ დღისათვის ქუთაისში.

*** ამ დღეებში საგუბერნიო ექიმს ბ-ს ქიქოძეს შეატყობინეს, რომ საქალაქო საყასბოდამ ჩუმად გააქვთ ტრიხინიანი ღორის ხორცი ზოგიერთ ყასბებს და მალვით ასაღებენ თავიანთ დუქნებშიო. ამის გამო ბ-ნმა ქიქოძემ მოიწვია ბეითალი ბოლოტოვი და კიდევ რამდენიმე ექიმი, რომელთა თანდასწრებით გასინჯა ხსენებული დუქნები, სადაც ბლომად აღმოჩნდა ტრიხინიანი ღორის ხორცი. შეადგინეს ოქმი, გასინჯეს აგრეთვე საყასბო და გადასცეს საქმე გამომძიებელს, რომელმაც უნდა განიხილოს და შეჰკრიბოს ცნობანი მასზედ, თუ ვინ არის დამნაშავე ამ მძიმე საქმეში.

*** კავკასიის მთავარ-მართებელს გენერალ ადიუტანტს შერემეტიევს წარუდგენია სახელმწიფო საბჭოში განსახილველად პროექტი, რომ ქალაქს ბათომში დაწესდეს ახალი „გრადონაჩალნიკობა“. (ნ. ვ.)

*** ტაშკენტიდამ შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ორმოცზედ წირვა და პანაშვიდი იქმნება გარდახდილი ჩვენის დაუვიწყარის მოღვაწის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. ტაშკენტელი ქართველები“.

*** პეტროვსკსა და ბაქოს შორის რკინის გზის გაყვანას ამ მიმდინარე წელს შეუდგებიან. პეტროვსკიდამ დარუბანდამდე გზა უკვე გამოკვლეულია. ამ ჟამად დარუბანდსა და ბაქოს შუა იკვლევენ გზასაო, სწერს გაზ. „ყაზიბეგი“.

*** პირველს მაისიდამ ქალაქ გარედ სადგურებიდამ ქალაქებში მისვლა-მოსვლისთვის ახალი ტარიფი შემოღებულ იქმნება რკინის გზის ბილეთების ფასისაო. იმ ქალაქებ შორის, რომელიც ამ ახალ ტარიფს უნდა ექვემდებარებოდნენ, არიან მოხსენებულნი: ბაქო, ბათომი, ქუთაისი, ფოთი, ტფილისი. ამ ქალაქებიდამ ახლო-მახლო სადგურებამდე მისვლა-მოსვლისათვის ეხლანდელს ფასებს დააკლდება ერთი მეხუთედი, ესე იგი, მანეთზე ერთი აბაზი ერთს გზობაზე წასვლისათვის; ხოლო კურიერის და სწრაფის მატარებლით სიარულისათვის-კი არა აკლდება-რა. გარდა ამისა შემოღებულ იქმნება აბონემენტის ბილეთები ერთს ხელში ათჯერ წასვლა-მოსვლისათვის; რაც შორს იქნება ქალაქის სადგურიდამ ქალაქ გარეთი სადგური, მით ფასი ბილეთისა დაიკლებს მანეთზე ორ შაურიდამ სამშაურამდეო: (ნ. ვ.)

*** როგორც გაზ. „ნოვ. ვრ.“-ა სწერს, პრივატ-დოცენტი ხირურგიისა სამხედრო-სამკურნალო საავადმყოფოსი ი. ა. პრაქსინი ტფილისში გადმოუყვანიათ, აქაურს საავადმყოფოში და უკვე წამოსულა პეტერბურგიდამ, რომ თავისი ახალი ადგილი დაიჭიროს.

*** „ვედომოსტების“ სიტყვით, უმაღლესს ხაზინას მანეთიან და სამმანეთიან ქაღალდის ფულის გაცემა შეუწყვეტია. პროექტია წარდგენილი, რომ ამ ფულის ხმარება სრულიად უნდა მოსპონო.

*** სოფ. შილდა (თელავის მაზრა): 25 თებერვალს ს. შილდის სამღვდელოებამ: მამა მათე მირიანოვმა, მამა იოვანე ალნიევმა [illegible] აივაზოვმა გარდაიხადეს წირვა და პანაშვიდი ჩვენი დაუვიწყარის მღვდელმთავრის გაბრიელ ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად. წირვა პანაშვიდს დაესწრნენ მრავალი ხალხი. დასაფლავების დღესაც იქმნება გარდახდილ პანაშვიდი.

*** დ. ნაგომარი: ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გარდაცვალებას ყველა გლოვით და მწუხარებით შევეებენით. 25 წარსულის თვისას მრავალის ხალხის თანადასწრებით მღ. იაკობ ჩხაიძემ პანაშვიდი გარდაიხადა განსვენებულის მწყემსთ-მთავრის სულის მოსახსენებლად.

## კორესპონდენცია.

—

**სოფ. მუხრანი.** (დუშეთის მაზრა) ყველა უბედურებასთან ს. მუხრანში ერთი ფრიად სასიამოვნო ჩვეულებაც არის. ხშირად შეხვდება კაცი რომელსამე დუქანთან ხალხს გროვას, რომელიც სულ-განაბული ისმენს რაიმე წიგნაკის კითხვას, ანუ გაზეთ „ივერიისას“. რომ ამ კითხვამ უფრო საფუძვლიანი სარგებლობა მოუტანოს ხალხს და უფრო ფესვი გაიდგას ხალხში, საჭიროა აღმორჩევით წიგნების კითხვა, მაგრამ საიდამ და როგორ დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნილება!? მართალია, როგორც სხვა სკოლაან სოფლებში, აქაც სკოლა და მასწავლებელია მოვალე დააკმაყოფილოს ზემოდ აღნიშნული მოთხოვნილება, მაგრამ სამწუხაროდ სკოლას არამც-თუ არ დაუკმაყოფილებია ეს მოთხოვნილება (წიგნის კითხვა) და არ აკმაყოფილებს დღესაც, არამედ არც-კი სცდილა აღნიშნულის მოთხოვნილების აღძვრა-გაღვიძებას, რაიცა ნათლად მტკიცდება იმით, რომ სკოლას თავისს თექვსმეტის წლის არსებობაში არ უშოვნია და არ შეუძენია ერთი ქართული წიგნიც-კი.

მაგრამ რადგანაც დღეს ასე თუ ისე დაიბადა ხალხში წიგნის კითხვის სურვილი, საჭიროა რომ ეს საქმე მოუხერხებელი არ ამოვარდეს ხელიდამ და ასრულება ეღირსოს; ამისათვის სა-

---

ვადარეთ, რასაკვირველია თ. ა. წერეთლის ნაწერები ემჯობინება; ვამბობთ, უწინდელთან შედარებით (არ დაივიწყოთ) „ეს წელიწადი (1895) აკაკის ნაწერებისათვის ნაკიანი იყო.“ ცხადია ყველასთვის, ცილისწამებითი ლოღიკით ალჭურვილებს გარდა, აქ იმის თქმა მინდოდა, რომ უწინდელისთანა არა დაუწერია-რა-თქო. „რაიცა მის მოთხრობას შეეხება... ის თ. ა. წერეთლის სახელს ვერას შემატებს-თქო“. მერე რა ცუდი ვსთქვი ამით? ის ხომ არ მითქვამს, ეს მოთხრობა თ. ა. წერეთლის სახელის დამამცირებელია-თქო. სახელს ვერ შემატებს ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა მის ნაწარმოებებზედ უკეთესი აღარა იქნება-რა. თუ გინდა კიდევაც მეთქვას ცუდი რამ დასწერა-თქო, განა ამით იმის თქმა მენდომებოდა,—დროა კალამი ხელიდამ გააგდოს-თქო? შეიძლება კაცმა დედა ბოძი უწოდოს მწერალს და მერე უთხრას, კმარა დაეთხოვე ეხლა წერასო? მაგრამ, განა საჭიროა ამდენი ჩიჩინი და ყოველიფერი ცხადი არ არის? ცხადი არ არის, რომ თ. ა. წერეთლის დასკვნა, ჩემი სიტყვებიდამ გამოყვანილი, ცილისწამების გაზვიადებული მადის წარმოშობილია.

ეხლა რაღას ბრძანებს თ. ა. წერეთელი? ვინ, ვინ გამოიწვია პირველად, მე თ. ა. წერეთელი, თუ თ. ა. წერეთელმა მე? მე დავსწამე ცილი თ. ა. წერეთელს, თუ მან მე?

ღმერთო ჩემო, ვსწუხვარ და ვსწუხვარ, არა იმიტომ რომ, შეიძლება თ. ა. წერეთლის ავტორიტეტიანის სახელით დაწერილმა მე ბევრი მტერი მომიპოვოს, ამგვარი ცილის წამების შემდეგ, არა, ეს არაფერია, მე რას შევადგენ, ან რა ვარ? მე მაწუხებს ის, რომ ისეთი პატივცემული პირი, როგორიც თ. ა. წერეთელია, ამნაირს ცილის წამებას სთხზავს და აწოდებს საზოგადოებას. ვსწუხვარ მას, რომ შხამს ასხამს და სწამლავს არა იმას, ვისთვინაც დანიშნულია ეს შხამი,—ერთ კაცს თქვენი ჭირი წაუღია,—არამედ იმ გულ-წრფელ, გულ-სპეტაკ კეთილშობილ ადამიანებს, რომელსაც პოეტი—მოძღვარის ყოველი სიტყვა სახარების ჭეშმარიტებად მიაჩნიათ.

ჩვენ სხვა აღარა გვაქვს-რა სათქმელი. ფაქტიკურად დავამტკიცეთ, როგორს, არა მათს საკადრისს, ნიადაგზედ არის აღგებული წერილი თ. ა. წერეთლისა. ჩვენ სრულიად არ ვეხებით პოეტის ბიოგრაფიას, რომელიც ვრცლად აქვს მოყვანილი „უკანასკნელს პასუხში“. მხოლოდ ერთი მაკვირვებს: რადა ჰგონია თ. ა. წერეთელს, რომ მათ მეტს არავის შეუძლია თავგანწირული ემსახუროს სამშობლოს. ღმერთს პოეტისათვის დიდი ნიჭი მოუცია, ხოლო პატიოსნების მონოპოლია-კი არა აქვს მარტო თ. ა. წერეთელს. განა საკადრისია ამგვარი კლიმანჭურები თ. ა. წერეთლისა: „დღეს დიმიტრი ყიფიანის საფლავისაკენ გაისვრიან შურდულს, ხვალ ჩემსკენ, ზეგ კიდევ სხვებისაკენ“. და სხვ. ან-კი რა პასუხი უნდა უგოთ მომავლის შესახებ. ხოლო რაიცა შეეხება მას, რომ მიბრძანებს თ. ა. წერეთელი, „ჩემი დიპლომატიური კალამი სამაისო არჩევანებისათვის შევინახო“, უნდა მოგახსენოთ აქაც ტყუილად უნებებია პოეტს წინასწარმეტყველობა. ჩვენ-კი, როგორც ერთი მომაკვდავთაგანი წარსულს ფაქტს მოვაგონებთ მკითხველებს და ვკითხავთ თუ ამ სიტყვების დამწერს ნება აქვს ვისმე შესწამოს „სამაისო დიპლომატიური კალამის ხმარება“ ჭრელი ფიქრები (ჩოხოსანისა და ფრაკოსანის ბაასი):

ჩოხოსანი.... თქვენ არა ბრძანეთ, რომ ჩოხიანებს ნება არ აქვს საზოგადო საქმეში გაერიოსო;—არა იცით რა, არა გაგეგებათ რაო.

ფრაკ. ვარევაც არის და გარევაც! ყოველს საქმეს წინ პატიოსნება უნდა მიუძღოდეს... შენით უნდა მიხვიდოდე კეთილ საქმეზე უანგაროთ და არა სხვების რჩევითა და შემწეობით.

ჩოხოს. როგორ? მე რომ თვითონ ღონე არ მქონდეს, აღარც სხვას უნდა ვთხოვო, რომ მიღონოს? ძველათ, როდესაც საერთო საზოგადო საქმე რამე გამოჩნდებოდა, ყოველ კუთხიდან იქითკენ მიიწევდენ, მიდიოდნენ ქართველები... მაშინ გზა ადვილი იყო, თითოეული მათგანი გადიკიდებდა ფარ-ხმალს, შეჯდებოდა ცხენზე და ერი ჰა!..... მიეშურებოდაო. თუ თითონ არ ეყოლებოდა ცხენი, მეზობელსა ჰსთხოვდა ხელს მოინაცვლებდა და ვერც არავინ დაჰსძრახავდა.—დღეს ცხენი პატარა ბილეთათ გადაიცვალა. თუ საშუალება არ მექნება, რომ ის პატარა ბილეთი შევიძინო, რატომ არ უნდა მივიდე ჩემს მოძმესთან ჩემისთანა ჩოხიანი და არ ვთხოვო: „არ მინდა, რომ საზოგადო საქმეს მოვსხლტე... სურვილი მაქვს, რომ დავესწრო მეც იქ, სადაც ჩემი ქვეყნის ბედი ჰწყდება და ხელი გამიმართე დღეს, რომ მეორეთ მეც გაგიმართო და მეც ისე დაგეხმარო, როგორც დღეს შენ მეხმარებითქო. აქ შემრცხვენი და საძრახისი რა არის? ამას ეძახით თქვენ თავის გაყიდვას.—ვინც ძალათ თავის საკუთარი ცხენით არ მივიდოდა მოპირდაპირეზე და ნათხოვარი ეყოლებოდა, მაშ გასაკიცხი ყოფილა თქვენის აზრით“. არა, ბატონო, თქვენ გინდათ, რომ აქვე სახლიდან ფეხ-გამოუდგმელად დამთხაროთ თვალები, ამომგლიჯოთ ენა, დამამუნჯოთ, დამაყრუოთ და დამაბრმაოთ, მევე ე. ი. ჩოხიან ქალამნიანს, მინდა რომ ადგილზე მივიდე, ჩემი თვალითა ვნახო ყოველიფერი, ჩემი ყურით გავიგონო, ავწონ-დავწონო, გავზომო და მერე ისე გადავჭრაო“, ამ სიტყვებმა ძალიან დაალონეს ფრაკოსანი. ის ფიქრობდა თავის გუნებაში ეს დაჰმული ლეკვი, რა ცხარედა ჰყეფსო“. ეს წერილი დასტამბული გახლავს „კვალის“ 1894 წლ. № 20-ში სწორედ 8 მაისს.

„და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთა ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა გამოთუმცაიბა ქედსა მისსა წისქვილისა ქვაჲ ვირით საფქველი და შთავარდა ზღვასა“.

კიტა.

—

ჭიროა სამკითხველო-წიგნთ საცავი. ამიტომაც გბედავ და გსთხოვ ყველას უმორჩილესად, ვისაც-კი ამ კეთილის საქმისათვის გული უცემს, მიაწოდოს მუხრანის სკოლას ქართული სახალხო საკითხავი წიგნები.

შემდეგი ფაქტი ამტკიცებს, თუ რა მოწიწებით ისმენს ხალხი წაკითხულს, ბაასობს მერე მასზედ და უკვირდება თავისს ცხოვრებას.

ამ წინაზედ დავესწარ „ივერიის“ ერთ №-რის წაკითხვას. გაათავა თუ არა მკითხველმა წაკითხვა იმ ამბებისა, თუ რა გაჭირვებაშია ხალხი სხვა-და-სხვა სოფლებში დიდის ზამთრიანობით და თოვლის გამო მოკლებულია ყოველსავე მუშაობას, საქონელი ეხოცებათ უსაკვებოთ, შეკრულია გზები,—ვერ მოუტანიათ ტყიდამ შეშა და სიცივით შეწუხებულან და სხვა... ერთმა მსმენელთაგანმა სთქვა: «ეჰ, შვილოსიას, იქ კიდე თოვლს დაუშლია მუშაობა, მაგრამ აქ რომ არც თოვლია ხოლმე და ჩვენ საქმეს მაინც დროზედ ვერ ვაკეთებთ. აი ეხლა გაგვიზაფხულდა და ნეტავი ბატონიანთ ზვრებს: ხან რომელში გვამუშავებენ და ხან რომელშიო.“ და მოჰყვნენ შემდეგ თავისის გაჭირვების ჩამოთვლას, თუ რა არის მიზეზი ამა თუ იმ უბედურებისა სოფელში.

№.

## უცხოეთი

**აბაშეთი.** ამბობენ, რომ მეფე ჰუმბერტო ტახტზე უარს იტყვისო და ამაში წაბაძავს თავისს ბიძა კარლ ალბერტს, რომელიც ნავარასთან დამარცხების შემდეგ ასევე მოიქცაო. დეპეშამ უკვე გვაცნობა, რომ ჰუმბერტომ თუმცა ჯერ დიდი წინააღმდეგობა განაცხადა მენელიკთან ზავის შეკვრის შესახებ, მაგრამ მერე დათანხმებულაო. რომში მოუწვევიათ თურმე ცნობილი მცოდნე აბაშეთისა ფრანცოი და რჩევა უკითხავთ. ფრანცოის უთქვამს, დიდი შეცდომა იქნება იტალიისაგან შეტევებითი ომი დაიწყოს, უკეთესია შეურიგდეს მენელიკსაო. ამბობენ მასაც, რომ ფრანცოის დეპეშა მიუღია მენელიკის მეგობარ ინჟენერის ილგისაგან, რომელიც შვეიცარიაში თურმე იმყოფება. ამ დეპეშაში ილგი ურჩევს ფრანცოის, წავიდეთ მენელიკთან მოსალაპარაკებლადაო, მე ნამდვილად ვიცი, რომ ნეგუსს მხოლოდ მშვიდობიანობა სურსო.

**საფრანგეთი.** პრეზიდენტს ფორს შემდეგი სიტყვები უთქვამს ნიცცაში. ამ სიტყვამ ბევრი ლაპარაკი გამოიწვია როგორც საფრანგეთისა, ისე უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში:

„31 იანვარს 1793 წ. კონვენტმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ხალხის ბრძანებით ეთანხმება ნიცცას საგრაფოს სურვილს საფრანგეთთან შეერთებისას. დღეიდამ ნიცცა იქნება ნაწილი საფრანგეთის რესპუბლიკისაო. ამნაირი მოქმედებით კონვენტმა დააკანონა ის პრინციპი, რომ მარტო გამარჯვება არ აკმარა დამარცხებული ერის შემოსაერთებლად, თუ ამის წინააღმდეგი არის თვით ის ერი, რომლის შემოერთებაც სახეში აქვთ. 1860 წელში საფრანგეთის მთავრობა კიდევ დაეკითხა ნიცცას ერს და ამ ერმაც ერთხმად განიმეორა უწინდელი სურვილი, გამარჯვებამ-კი არ შამოგვიერთა ნიცცა, არამედ ერის სურვილმა და ეს სურვილი დაედვა საფუძვლად ორთა ძმათა კავშირს“.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— უკანასკნელ მარტის ჟურნალში „რევუ დე რევუ“ დაბეჭდილია მეტის-მეტად დაუჯერებელი ამბავი ამ ფრანგულის ჟურნალის რედაქტორის ჟან ფინოსაგან. იგი წერილი მოგვითხრობს, რომ ამერიკაში გამოჩნდა ერთი „წმინდა კაცი“, შთამომავლობით ელზასელი ფრანგი ფრანცისკ შლიატტერი, რომელიც ელზასში დაბადებულა 1855 წ. და გადასახლებულა მერე ამერიკაში. ავტორი ამბობს, რომ შლიატტერს ერთს დილას გაუღვიძნია და უეცრად გამხდარა „წმიდა კაცად“. ფეხ-შიშველი და თავ-შიშველი რაღაც უცნაურ სამოსელით, გძლად ჩამოშლილ მხრებზე თმებით, აღტაცებულ სახით დაიარებოდა შარშან 14 ნოემბრამდე თურმე ამერიკის უდაბნოებში და ჰქადაგებდა სიყვარულს ღვთისას და მშვიდობას სულთათვის. ამბობდა, რომ ციდამა ვარ გამოგზავნილი, უბრალო კაცი ვარო. დაუჭერიათ და ციხეში ჩაუსვამთ. ციხეში დამწყვდეულნი ჯერ თურმე დასცინოდნენ და როცა ბოლოს ნახეს, რომ იგი მშვიდი და წყნარი კაცია, მუდამ ლოცულობს და ამასთანაც იქვე ციხეში რამდენიმე სნეული მოარჩინა მარტო ერთის ხელის შეხებითა, იოცეს და აღარ იცოდნენ რა ეთქვათ. ბოლოს გამოუშვიათ ციხიდამ და აქედამ ტეხასის უდაბნოს წასულა. მისი უცნაური სამოსელი, გძელი გაშლილი თმები, ზამთარ-ზაფხულ შიშველი ფეხი და თავი მუდამი, და განუწყვეტელი ლოცვა, რაღაც ნათელით მბრწყინავი სახე ყოველივე ეს აოცებდა მნახველს და დიდ-ძალ ხალხს ჰკრებდა თურმე მის გარეშემო. ბევრნი ამბობდნენ თურმე, რომ ილია წინასწარმეტყველი აღსდგა მკვდრეთითაო. თვითონ მეტის-მეტად მშვიდი, წყნარი, უბოროტო კაცი ყოფილა, მუდამ ლოცვასა და ვედრებაში იყო, ხმა-ამოუღებელი დადიოდა, არავის არას აწყენინებდა, ბევრგან აწყენინებდნენ ხოლმე, ბევრგან ლანძღვამდენაც მიდიოდა საქმე, მაგრამ ხმასაც არავისა სცემდა თურმე, არავის არასფერს უკადრისს არ ეტყოდა. ხალხს, რომელიც გარს ეხვეოდა, მარტო ამას ეუბნებოდა: «მისმინეთ და მომყევით მე».

მართლადაც, აუარებელი ხალხი მიჰყვებოდა ხოლმე, სოფლებსა და გზებში დიდი-პატარა მოსცვივდებოდა სანახავად. მიდიოდნენ თურმე ბრმანი, კოჭლნი, ყრუნი, საპყარნი და სხვა სნეულნი და საკმაო იყო ხელი შეეხო, ღვთისათვის შეევედრა, თავზე ხელი დაედო და მსწრაფლვე განიკურნებოდნენ თურმე. იგი ამბობდა, განკურნება ჩემგან-კი არ არისო, არამედ სარწმუნოებისაგან ღვთის მიმართ და ყოველივე დამოკიდებულია მარტო ღვთის ნებაზეო. შროკმორტონში გიჟების სახლში ჩაუსვამთ. აქედამ რომ გამოსულა, სახელი და დიდება უფრო მოჰმატებია და გავრცელებულა ამერიკაში. შროკმორტონიდამ წასულა კალიფორნიაში. ისევ იმ სახით, ფეხ-შიშველი და თავ-შიშველი სოფლიდამ სოფელში უვლია ურწმუნო ამერიკელთა შორის და ყველგან აუარებელი ხალხი მიდიოდა მასთან ყოველ მხრიდამ. მიჰყავდათ თურმე სნეულნი, იგი მარტო ხელ-შეხებით ჰკურნავდა, მიჰყავდათ ბავშვები, რომ დაელოცა და ეკურთხებინა. 1894 წ. დეკემბერში მისულა სანფრანცისკოში ამავე ყოფით და სასწაულებით. შარშან მარტში ქალაქს ფლაგსტავში ყოფილა. აქედამ მისულა ინდოელთა ბინებზე. ეს ველური ხალხი განცვიფრებულა, როცა უნახავთ ეს თავ-დაბალი, წყნარი, განუწყვეტლად მლოცველი კაცი, რომელიც იწვევდა ყოველს ადამიანს, რათა იწამონ ღმერთი და შეიყვარონ მოყვასნი. აქაც ბევრი ურჩენია სხვა-და-სხვა სნეულებისაგან მარტო ლოცვითა და ხელ-შეხებითა.

ბოლოს შლიატტერი მისულა კოლორადოს ქალაქში, რომელსაც დანვერი ჰქვიან და აი რა შემთხვევით. ამ ქალაქის ნაცვალი მისტერ ე. ჰ. ფუა დიდი ხნის ყრუ ყოფილა. შეუტყვია, რომ შლიატტერი არჩენს ყრუს და კოლორადოშია, წასულა სხვებთან ერთად ამ საოცარ კაცის სანახავად. შლიატტერმა თურმე ხელი შეახო და სიყრუისაგან უმალვე მოარჩინა. განცვიფრებული და ელდაცემული ამ სასწაულისაგან ფუა მაშინვე ღვთის მოსავად გამხდარა და შლიატტერისათვის მადლობის ნიშნად დიდი ფული შეუძლევია. შლიატტერს უარი უთქვამს ფულზე. მაშინ ფუას უთხოვნია ჩემთან მობძანდი და ჩემს სახლში დადგიო. შლიატტერი დასთანხმებია და მას შემდეგ ბინა დაუდვია ფუას პატარა სახლში და ამითი დიდი სიკეთე მიუტანია არამც თუ მარტო სახლი-პატრონისათვის, არამედ მთელის ქალაქისათვისაც. აქ სახელს შლიატტერისას უმაღლეს წერტილამდე მიუღწევია. მისს სადგურს ბუზსავით დახვევია ხალხი, ათასი სნეული და ათასი ცნობის-მოყვარე. რკინის გზა ვერ ასწრობდა თურმე ხალხის გადაყვან-გადმოყვანას, სასტუმროებში ადგილი აღარ იყო და იმ პატარა ქალაქს დანვერს იმოდენა ხალხი მოაწყდა ამერიკის ყოველის მხრიდამ, რომ ველარ იტევდა. იქაური გაზეთები სავსე იყო შლიატტერის სასწაულ-მოქმედებითა. დღეში ხუთი-ათას კაცამდე მიდიოდა და მოდიოდა თურმე ამ „წმინდა კაცთან“. აუარებელს საპყარს, კოჭლს, ბრმას, ჭლექს არჩენდა თურმე არამც თუ ხელშეხებით, რადგანაც ვერ ასდიოდა, ხელთათმანითა, რომელსაც გადუგდებდა ხოლმე ხალხს, რომ ერთმანეთს გადასცენ და ხელი შეახონ. იგი ამბობდა, რომ საჭირო არ არის, რომ მე თვითონ შევახო ხელი სნეულსაო. აქ საქმე სარწმუნოება არისო და საკმაოა განსაკურნებლად ხელთათმანიცა, რომელიც მე ხელში მჭერია. დღეში სამიათასიდამ ხუთ ათასამდე კაცს თურმე არჩენდა.

ქებას და დიდებას შლიატტერისას საზღვარი არა ჰქონდა. ხალხი ადიდებდა რაც შეეძლო და დიდს პატივს სცემდა. გაუმართავდნენ ხოლმე დიდებულ პროცესიას, თაყვანსა სცემდნენ და ამბობდნენ, რომ მართლა ციდამ მოვლენილი მოციქულია ღვთისაო. ფულს და საჩუქარს რასმე არ იკარებდა-„მე ესენი რად მინდაო, ამბობდა როცა ფულს, ან საჩუქარს შეაძლევდნენ: ჩემთვის რა საჭიროაო. განა ღმერთი უფალი ჩემი არ მომანიჭებდა ყოველს მაგას, რომ ჩემთვის საჭირო ყოფილიყოვო. ერთად ერთი განძი ჩემი სარწმუნოებაა და მე მწამს სრულის ჩემის სულითა და გულით უფალი ღმერთი ჩემი“.

იმ წერილში ბევრი მაგალითებია მოყვანილი იმისი, რომ შლიატტერს სნეულნი ურჩენია იმ სახით, როგორც ზემოდ ავწერეთ. ყოველივე ეს მაგალითები შემოწმებულია თვით მორჩენილ სნეულთაგან, რომელთა სახელები და ადრესებიც-კი გამოცხადებულია. ჩვენ ამ მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ხოლო ერთი ამბავი-კი მაინცა და მაინც უნდა მოვიხსენიოთ. მეგაზეთენი ამბობენ, რომ როცა შლიატტერი გარშემორტყმული იყო აუარებელ ხალხითა, მასთან ახლო მივიდა თურმე ერთი კაცი: „შორს ჩემგან!—შესძახა თურმე შლიატტერმა: შენ მკვლელი ხარ კაცისაო“! და მართლაც ისე გამომდგარა.

ავტორი სწერს, რომ ამ შლიატტერს გარს ეხვეოდნენ გაზეთების რეპორტიორები, თვალს არ აშორებდნენ და ერთს გაზეთს არ უთქვამს, რომ ან ვისთვისმე ფული გამოერთვას, ან რასმე გამორჩენოდეს და ყველანი-კი ამტკიცებენ, რომ მართლა ჰკურნავდა და არჩენდა საპყართა და სნეულთაო.

14 ნოემბერს შარშან ეს შლიატტერი უცებ გამქრალა იმ ქალაქიდამ. ამ დღის დილას სახლის პატრონი ფუა შესულა იმის ოთახში და იქ შლიატტერი აღარ ყოფილა. ბევრი ეძებეს, ბევრგან გაჰგზავნეს შესატყობლად რა იქმნა და სად გაქრაო, მაგრამ დღეს აქამომდე არავინ არ იცის რა იქმნა. ოთახში მისი პატარა ბარათი უპოვნიათ და შიგა სწერია თურმე: „ბატონო ფუავ! ჩემი მისსია დასრულდა. ღმერთმა მიმიწვია თავისთან. მოკითხვას მოგახსენებ. ფრანცისკ შლიატტერი. 13 ნოემბერი.“ (ნ. ვ.)

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 მარტი.

**პარიზი.** ავსტრ-უნგრეთის ელჩი მივიდა ელისეს სასახლეში და გადასცა პრეზიდენტს ფორს წმ. სტეფანეს ორდენი.

**ბერლინი.** გრაფი გოლუხოვსკი წავიდა ვენას. ვოკზალამდე მიაცილეს ავსტრი-უნგრეთისა და აგრეთვე ინგლისისა და იტალიის ელჩებმა.

**რომი.** 2 მარტს გამოცხადდა მეფის დეკრეტი, რომლით ეპატივათ ყველა იმათ, ვინც დასჯილ იქმნა სიცილიისა და კარრარის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისთვის, იმათ გარდა, ვისაც კაცის კვლა დაბრალდა.

**მილანი.** რუდინიმ გამოუცხადა მეფეს, რომ მენელიკთან ომის გასაგრძობად საჭიროა 100 ათასი ჯარის კაცი გაიგზავნოს აფრიკაშიო და დაიხარჯოს კიდევ ნახევარი მილიარდიო, ხოლო რადგანაც ეს იტალიას ახლა არ შეუძლია აასრულოს, ამიტომ რუდინი ურჩევს მეფეს—მენელიკთან შერიგებას; მეფე წინააღმდეგია, მაგრამ შემდეგ თანხმდება.

მენელიკმა მეგობრულად მიიღო მაიორი სალსა (ზალცა?) და უთხრა, რომ ომის დაწყება კრისპის ბრალი იყოო.

**ლონდონი.** მარკიზ სოლსბერის მდივნები აცხადებენ, რომ „ტაიმს“-ის ცნობა ეგვიპტის ჯარების დონგოლასაკენ გაგზავნის შესახებ მართალი არისო.

**ლონდონი.** პარლამენტმა შეიწყნარა კანონ-პროექტი, რომლით განზრახულია ახალის სამხედრო გემების აგება.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ი ამბობს, რომ ეგვიპტეს ჯარების გალაშქრების საბოლოო მიზანია კასსალას განთავისუფლებაო. დონგოლას დაპყრობა აუცილებლად საჭიროა ეგვიპტეს დასაცველადაო.

**სოფია.** 2 მარტს ზიხნი-ფაშა, რომელსაც თან ახლდენ ოსმალეთის საელჩოს წევრნი და ოსმალეთის კომისარი, მივიდა სასახლეში და გარდასცა პრინცს ფერდინანდს სულთანის ორი ფირმანი, რომელთაგან ერთით ის აღიარებულ იქმნა ბულგარიის მთავრად და მეორეთი დაინიშნა აღმოსავლეთ რუმელიის მმართველათ.

4 მარტი.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრის თანაშემწე ანტონოვიჩი უმაღლესად დაინიშნა საერო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრად, ხოლო ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ სახელმწიფო მდივნის თანაშემწე კოკოვცევი.

**რომი.** 2 მარტს საპყრობილიდამ განათავისუფლეს დეპუტატები დე ფილიჩე, ბოსკო და ბარბატო (სოციალისტები). მენელიკთან ზავის შეკვრის შესახებ „იტალი“ ამბობს: მაიორ ზალცას მინდობილი ჰქონდა გაეგო მენელიკის აზრი ზავის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მენელიკი თანახმაა ზავი შეჰკრას. მაშინ ზალცამ გარდასცა გენ. ბალდისერას ნეგუსის პირობები, ხოლო ბალდისერამ გაუგზავნა სამინისტროს. სამინისტრომ მიანდო ბალდისერას მოლაპარაკება განაგრძოს. სხვათა შორის მენელიკმა მოითხოვა, რომ იტალიამ აღარ აღაგოს ციხე-სიმაგრეები ერიტრიაში. ამაზე ბალდისერამ უპასუხა, რომ ჩემის აზრით ამ პირობის ასრულება შეუძლებელიაო.

„ფანფულა“ ამბობს, მენელიკმა მოითხოვა—სამხრეთ-დასავლეთის საზღვრად იტალიელ კოლონიისა და აბაშეთის შორის იყოსო მარობის მთები. ნეგუსმა აღუთქვა ტყვეთა განთავისუფლება და „ადიგრატის“ ჯარის თავისუფლად გაშვება. სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ საზღვარი უნდა გაყვანილ იქმნეს სენაფამდი, რომელიც იტალიელთა მფლობელობაში დარჩება. ადუია-ადიგრატის საზღვრები აბაშელებს უნდა დარჩეთ. ტიგრე დამოუკიდებელ პროვინციად აღიარებულ იქმნება და მის მმართველად დანიშნულ იქმნება აბაშელი უმაღლესი მოხელე. შოანელები უკავშირდებიან იტალიელებს დერვიშთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

„ტრიბუნა“ ამბობს, დატყვევებულია 50 ოფიცერი და 600 ჯარის-კაცი.

„იტალია მილიტარ“-ი ამბობს, რომ ადუაში მებრძოლ იტალიელთაგან დაბრუნდა მხოლოდ 20%. გაზეთი აქებს სიმამაცეს იტალიელთა სიმამაცეს, რომელთაც ბრძოლის ველზე სიკვდილი არჩიეს.

**კაირო.** მასსოვიდამ გვატყობინებენ, რომ იტალიელმა ჯარმა დასტოვა ასმარა და მასსოვაში დაბრუნდა.

დონგოლასაკენ წავიდა ეგვიპტის 8000 ჯარის-კაცი.

**კონსტანტინოპოლი.** პრინცს ფერდინანდს 14 მარტისათვის მოელიან კონსტანტინოპოლში, სადაც ერთ კვირას დარჩება.


## განცხადებანი

ბიბლიოთეკა-სამკითხველო სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა კავკასიაში, სერგიევის ქუჩაზე, ალიხანოვის სახლში № 16, გახსნილია დილის 9—2 საათ., საღამოს 5—8 საათ., კვირა და უქმე დღეებით დილის 9—12 საათ. შეიძლება წიგნებისა და ჟურნალების წაღება სახლში. პირობა: წელიწადში 4 მ., თვეში—40 კ., თითო შემოსვლა—2 კ. არის განყოფილება ბიბლიოთეკისა კავკასიისა და აღმოსავლეთის შესწავლისთვის. სამკითხველო იღებს გაზეთებს და ჟურნალებს: 1, „Бирж. Вѣд.“, 2, „Вопр. филос. и псих.“, 3, „Вѣстн. Иностр. Литер.“, 4, „Вѣст. Евр.“, 5, „Восп. и Об.“, 6, „Всем. Иллюст.“, 7, „Каспій“, 8, „Книжки Недѣли“, 9, „Лучъ“, 10, „Моск. Вѣд.“, 11, „Міръ Божій.“, 12, „Новости“, 13, „Нов. Вр.“, 14, „Нед.“, 15, „Нива съ прил.“, 16, „Нов. Сл.“, 17, „Нов. Печ.“, 18, „Петер. Жизнь“, 19, „Русс. Вѣд.“, 20, „Рус Л.“, 21, „Рус. Ар.“, 22, „Сѣв. Вѣст.“. ადგილობრივი: 23, „Кавк.“, 24, „Нов. Об.“, 25, „Тиф. Лист.“, 26, „Кав. Сельс. Хоз.“, 27, „ივერია“. სომხური: 28, „Мшакъ“, 29, „Ардз.“, 30, „Норъ-даръ“, 31, „Таразъ“, 32, „Агбюръ“, 33, «Мурчъ», 34, „Араратъ“, 35, „Базм.“, 36, „Ант. Асис.“, 37, „Айр.“, 38, «Шавигъ», 39, „Цахикъ“. (8—6.—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Марта 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.